ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2447025

ნომერი: AR1378190

თარიღი : 13.02.2016

გაცემის თარიღი : 22.02.2016

გაცნობის თარიღი : 22.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 35 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქართლოს ყორანაშვილი პ/ნ 01008026129
- ქ. თბილისი, ცაგარელის ქუჩა #35.

ორგანიზაცია:
- ამხანაგობა ცაგარელი 35 კოდი: 205319671

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1341879 2033333-01/09/2015
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.06.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ილია ხავთასი

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "Meta Studio"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400020437

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ქართლოს ყორანაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008026129

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 458.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 263.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2560.4
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1800.1
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 236.9
- .მანსარდის ფართობი (კვ.მ).: 211.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 73.7
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 12.7
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 226.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8757.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 8705.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 52.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 33.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 33.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 263.2 კ1=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2095.8 კ2=4.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 49.4 კ3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №1505084
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.09.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №1505084
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.09.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილი პროექტით გაზრდილი ინტენსივობის შენობის არსებობა მოცემულ ადგილას, პროექტით დაცული უნდა იქნას ზონალურ საბჭოზე, კოეფიციენტის მომატებისას დასაბუთებით წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის სართულიანობა (8+1 შეწეული სართული) და მის შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ დოკუმენტაცია შესათანხმებლად, მითუმეტს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გადაჭარბებულია კ2 კოეფიციენტი (+29,7 ნიშნულზე განთავსებული სართული თავისი პარამეტრებით არ განეკუთვნება არასრულ მანსარდას და წარმოადგენს სრულ სართულს, შესაბამისად სრულად იანგარიშება კ2 კოეფიციენტში). წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი განაცხადის საფუძველზე საკითხი პირველ რიგში დააყენოთ ზონალურ საბჭოზე, წარმოდგენილი სახით ობიექტის სამშენებლოდ განვითარებაზე და კოეფიციენტის მომატებაზე.

2. დამატებით ფაილში ატვირთეთ შეთანხმებული პროექტის ავტორის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით.

3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები წარმოადგინეთ დღევანდელი სიტუაციის ასახვით, გადაღებული შორი და ახლო ხედებიდან და მიუთითეთ გადაღების თარიღი. გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ კორექტირებით ჩასატარებელი სამუშაოები ნაწილობრივ ან სრულად უკვე შესრულებულია საჭიროა დამატებით ატვირთოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო -სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

4. სახანძრო უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე პროექტით გასათვალისწინებელია შეუბოლავი კიბის უჯრედის მოწყობა.

5. გეგმებზე დაიტანეთ სართულის ნიშნულები და მიჯნის ზონაში ღიობებიდან და აივნებიდან მინიმალური დაშორების მანძილები. ასევე, გეგმებზე მიუთითეთ "მინაბლოკი" ფასადის მსგავსად.

6. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემაზე და გენგეგმაზე დაიტანეთ საზოგადოებრივი სივრცის სრული სიგანეც (აღნიშნული უნდა იანგარიშოთ რეგისტრირებულ ნაკვეთებს შორის მანძილით) და ღერძულა ხაზიდან საკადასტრომდე დაშორების მანძილიც.

7. განაშენიანების ფართობისა და კოეფიციენტების ანგარიში უნდა მოახდინოთ სართულების გარე კონტურზე, მოპირკეთებეის ჩათვლით (წარმოდგენილი კროკებით ირკვევა, რომ არ ითვლით აღნიშნულს კედლების გარე კონტურზე).

8. შესაბამის ველებში შეავსეთ განკარგულების რეკვიზიტები (კოეფიციენტების მომატებასთან დაკავშირებით).

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.